N 115 15/06/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 9

დ. ჩოხატაური *7 ივნისი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, დავით გუდავაძე, დავით ტრაპაიძე, მარინე ბერაძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, გოდერძი გოგიშვილი, კლოდი მდინარაძე, თამაზი დევიძე.

არ ესწრებოდნენ: ქეთევან სიხარულიძე, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), რომანი ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე.

სხდომას ესწრებოდა:

ანა თავართქილაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

მინდია სალუქვაძე- არასამთავრობო ორგანიზაცია, ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა პრეზენტაცია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა დღეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე უნდა მიიღოს და განახორციელოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული

პროექტი სახელწოდებით: ,,მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ირაკლი ახობაძემ, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>***აზრი გამოთქვა:***</u> ოთარ სოროზანიშვილმა, მანანა მინდაძემ,

ირაკლი ახობაძემ, რომელმაც აღნიშნა: კარგია, რომ ეს ყველაფერი კეთდება გურიაში, მაგრამ გრანტის გაცემას აქვს თავისი იურიდიული ნორმა. ამ ნორმის თანახმად, მას აქვს ორი მხარე: გრანტის გამცემი და გრანტის მიმღები. ამათ შორის იდება ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს იმ რესურსის მიზნობრიობას. მე ამ წარმოდგენილ დოკუმენტში მაინტერესებს ხელშეკრულების ფორმა, ანუ რა მიზნობრიობა აქვს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, რა მიზნობრიობა უნდა გაწიოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა, რომ მიიღოს ეს თანხა და როგორ იქნება ჩოხატაური გრანტის მიმღები, თუ ამ დოკუმენტში, განმარტებით ბარათში წერია, რომ მიმღები არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

მინდია სალუქვაძემ უპასუხა: ჩვენმა ორგანიზაციამ გააფორმა ხელშეკრულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან. იმიტომ, რომ ამ პროექტის ავტორი არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. რაც შეეხება თანხას, ხაზინაში უნდა მოხვდეს ეს თანხა და მას სპეციალური კოდი მიენიჭება.

მარინე ბერაძე- არანაირი ვალდებულება არ არსებობს იმისა, რომ ამ დოკუმენტს ახლდეს ხელშეკრულების ფორმა. პროექტის სათაურიდან ჩანს ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის გაცემული გრანტის მიზანი.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ თანხმობას ვაძლევთ გამგებელს, რომ გამგებელმა მიმართოს მთავრობას და მთავრობამ სხდომაზე მიიღოს შესაბამისი დოკუმენტი და იქ ჩაიწერება რისთვის არის ეს გრანტი. თანხა შემოვა სპეციალურ ანგარიშზე და ამ ყველაფრის შემდეგ იქნება კონკრეტული ხელშეკრულება.

ირაკლი ახობაძე: ამ პროექტს გარკვეულწილად მუნიციპალიტეტიც აფინანსებს, თანადაფინანსებით 8 328 ათასი ევრო არის. მე მაქვს შეკითხვა ჩოხატაურის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ არის მოძიებული ეს თანხა, როგორ ვაპირებთ ამ სახსრების მობილიზებას.

ზაალ მამალაძემ უპასუხა: 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდება ამ თანხის გადახდა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 27 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა